საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/21

ქ.თბილისი

"24" აგვისტო 2016 წ.

„რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირებისა და სამომხმარებლო ბაზარზე დაშვების ტექნიკური რეგლამენტის" პროექტის ახალი რედაქციის შემუშავების მიზით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე–3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაზე (შემდგომში - კომისია) დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების, ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების განხორციელების ორგანიზების მიზნით

ვბრძანებ:

1. „რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირებისა და სამომხმარებლო ბაზარზე დაშვების ტექნიკური რეგლამენტის" (შემდგომში - „ტექნიკური რეგლამენტი") პროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) მერაბ ქათამაძე-კომისიის წევრი (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი);
ბ) რევაზ სვანიძე - ინფორმაციულ -ანალიტიკური ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის მდივანი;
გ) ანა ნაკაშიძე -კომისიის თავმჯდომარის კონსულტანტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
დ) მზია გოგილაშვილი - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ე) ეკატერინე ჭახრაკია-სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ვ) ანა დაბრუნდაშვილი-რადიოსიხშირეთა მართვის დეეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ზ) არჩილ მაკარიძე-ინფორმაციულ - ანალიტიკური დეპარტამენტის არასამტატო სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თ) ქეთი რეხვიაშვილი-სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

3.სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს:

ა) სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის კომისიისთვის წარდგენა ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;

ა) ტექნიკური რეგლამენტის პროექტის მომზადება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს დირექტივების გათვალისწინებით, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებული იქნება: საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე რადიოელექტრონული და მაღალსიხშირული აპარატურის განთავსების პირობები და მოთხოვნები, სერტიფიკაციასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზაციის და კოორდინაციის წესები და პროცედურები;

ბ) ტექნიკური რეგლამენტის პროექტის კომისიისთვის წარდგენა სამუშაო ჯგუფისთვის ამ ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადაში;

გ) ტექნიკური რეგლამენტის მომზადებისას საჭირო ღონისძიებების კოორდინაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროებთან;

დ) სამუშაო ჯგუფის მიზნების ფარგლებში საერთაშორისო კოორდინაციის განხორციელება.

3.სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 31.12. 2015 წლამდე პერიოდი.

4.კონტროლი აღნიშნულ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს დამინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.,№6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**